საქართველოს კულტურის, სპორტისა
და ახალგაზრდობის სამინისტრო

# სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დირექტორი

# ბრძანება

18 11 2021 წ. №221 ქ. თბილისი

„სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის სცენარის შექმნის დაფინანსების კონკურსზე შემოტანილ პროექტთა (კონკურსი №2/6) განმხილველი საექსპერტო კომისიის შექმნის თაობაზე"
სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დირექტორის 11.11.2021 წლის №210 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და „სსიპ - საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის საექსპერტო კომისიის დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2006 წლის 7 აგვისტოს №3/255 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის საექსპერტო კომისიის დებულების" მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად ვბრძანებ:

1.საექსპერტო კომისიის წევრის – ირაკლი ფანიაშვილის მიერ საექსპერტო კომისიის მუშაობაში მონაწილეობაზე უარის გამო, შევიდეს ცვლილება „სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის შექმნის დაფინანსების კონკურსზე შემოტანილ პროექტთა (კონკურსი №2/6) განმხილველი საექსპერტო კომისიის შექმნის თაობაზე" სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დირექტორის 11.11.2021 წლის №210 ბრძანებაში და სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის სცენარის შექმნის დაფინანსების კონკურსზე შემოტანილ პროექტთა (კონკურსი №2/6) განმხილველი საექსპერტო კომისია ჩამოყალიბდეს შემდეგი შემადგენლობით:

1. გიორგი თავართქილაძე - რეჟისორი;
2. ანა ჭყონია–კინომცოდნე ;
3. კახაბერ თოლორდავა - ფილოლოგი;
4. ნანა ჯორჯაძე – რეჟისორი;
5. გივი ოდიშარია – რეჟისორი/სცენარისტი;

2.წინამდებარე ბრძანებას თან დაერთოს კომისიის წევრად ნანა ჯორჯაძის მოწვევის თაობაზე წერილობითი დასაბუთება და ნანა ჯორჯაძის CV.

3. დაევალოს საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის (შემდგომში- კინოცენტრი) IT სპეციალისტს დავით ყურაშიძეს წინამდებარე ბრძანების კინოცენტრის ვებ-გვერდზე განთავსება.
4. ბრძანება ძალაშია კინოცენტრის ვებ გვერდზე გამოქვეყნებისთანავე.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

საფუძველი: საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის დაფინანსების კონკურსზე შემოტანილ პროექტთა განმხილველი საექსპერტო კომისიის 2021 წლის 12 ნოემბრის №1 ოქმი.

დირექტორი გაგა ჩხეიძე